საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/59

ქ. ბათუმი 08 ივნისი, 2022 წელი

,,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", ,,პაციენტის უფლებების შესახებ", საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონების, ,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ნოემბრის N01-11/89 ბრძანების, ,,ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის პერსონალის სამუშო აღწერილობის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბრძანების N1 დანართის (ინსტრუქცია):

ა) პირველი მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

,,4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა ბსუ-ს სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/პერსონალისათვის უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის სამედიცინო პუნქტის პერსონალმა, მათ შორის ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში (ბსუ-ს N6 კორპუსი, მდებარე ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15) ან სხვა კორპუსებში - დამსაქმებლის ბრძანებით განსაზღვრულმა/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა.";

ბ) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) დროულად მიმართოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირს (ადგილსამყოფელი/კაბინეტი/შესაბამისი ოთახის ნომერი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი განთავსებულია როგორც ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე შესაბამისი კორპუსის საინფორმაციო დაფებზე);
ბ) შეატყობინოს ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს (ადგილსამყოფელი/კაბინეტი/შესაბამისი ოთახის ნომერი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი განთავსებულია როგორც ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე შესაბამისი კორპუსის საინფორმაციო დაფებზე);
გ) არ გადაადგილოს პირველადი დახმარების საჭიროების მქონე პირი/პაციენტი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირის/სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.“;

გ) მე-3 მუხლის სათაური და შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3. სამედიცინო პუნქტის პერსონალის/პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები

„1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გამწევთა - **სამედიცინო პუნქტის პერსონალის/პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირების** ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე „სამედიცინო დახმარების ინსტრუქციით“, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო აღწერილობით ან/და შრომითი ხელშეკრულებით ან/და დამსაქმებლის ბრძანებით.

2. **ბსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი:**

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამედიცინო კაბინეტის გამართულ ფუნქციონირებას საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სამედიცინო დახმარების ინსტრუქციის' შესაბამისად (პაციენტის/სატელეფონო შეტყობინების მიღებისათვის მზადყოფნას, კაბინეტის მუშაობის განრიგისა და საკომუნიკაციო საშუალების ხელმისაწვდომობას საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით);

ბ) პასუხისმგებელია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის, საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს და პერსონალს უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას ან/და კონსულტაციას, ან/და იძახებს სასწრაფო დახმარების სამსახურს;

გ) აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს (კალენდარული წლის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს);

დ) ზრუნავს სამედიცინო ინვენტარის პერიოდულ განახლებაზე, მედიკამენტების ვარგისიანობასა და მათი შენახვის წესების დაცვაზე და დროულად წარუდგენს შესაბამის წინადადებებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, „ბსუ–ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციით" გათვალისწინებული მომსახურებისათვის საჭირო ინვენტარისა და მედიკამენტების შეძენისათვის ;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს შშმ პირთათვის ადაპტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას და ამ მიზნით წარადგენს წინადადებებს;

ვ) კონსულტაციას უწევს ბსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში დასაქმებულ **პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებს, შესაბამის სივრცეში** ბსუ-ს სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის საკითხებზე;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებით, წინამდებარე ,,პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციით" გათვალისწინებულ ფუნქციებს და ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის დავალებებს.

3. ბსუ-ს შესაბამის კორპუსში (მათ შორის ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში) დამსაქმებლის ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით საამისოდ დანიშნული/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:**

ა) საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს და პერსონალს აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება და გამოიძახოს სასწრაფო დახმარების სამსახური;

ბ) უზრუნველყოს შესაბამის კორპუსში პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ინვენტარის არსებობა, მუშაობის განრიგისა და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება კორპუსის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე;

გ) აწარმოოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალი (კალენდარული წლის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა შესანახად გადასცეს უნივერსიტეტის არქივს);

დ) შესაბამის კორპუსში სამედიცინო ინვენტარის პერიოდული განახლების, მედიკამენტების ვარგისიანობასა და მათი შენახვის წესების დაცვის საკითხებზე ითანამშრომლოს ბსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელთან;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს შესაბამის კორპუსში შშმ პირთათვის ადაპტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას და ამ მიზნით წარადგინოს წინადადებები;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებული ფუნქციები, ბსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით.".

2. ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის" მომზადება და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტები; სტუდენტთა გზამკვლევი; სტრუქტურული ერთეულები).
3. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**